ღია საზოგადოების ფონდი

თბილისი, 2022 წლის ნოემბერი

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის რისკის გაზრდა საქართველოში ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებაზე უარის თქმის გამო

ПОЛИТИКИС ДОКУМЕНТИ

ავტორები:
ანა არგანაშვილი*
ანა აბაშიძე**
„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სახელით

დოკუმენტი მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის „ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“. ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის მოსაზრებას. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს კრიტიკულ მიმოხილვას საქართველოში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ყოვლისმომცველი განათლების არარსებობისა და ამ საკითხიდან გამომდინარე პრობლემების შესახებ. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაფართოვდა ბავშვთა მიმართ სექსუალური დანაშაულებისა და გენდერული ძალადობის პრობლემა, მაგრამ მისი ძირეული მიზეზები არ მოგვარებულა. ბავშვები არაფორმალური არხებით, მათ შორის სოციალური მედიისა და თანატოლების მეშვეობით, იღებენ ინფორმაციას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ. ამ ინფორმაციის მოძიებისას ისინი აწყდებიან კიბერ სექსუალური ძალადობისა და არასათანადო მიზნებით მათი ნდობის მოპოვების გაზრდილ რისკებს. მდგომარეობა მძიმეა, ვინაიდან ხელისუფლება ვერ პოულობს გზებს ულტრა-მემარჯვენეების წინააღმდეგობის დასაძლევად და, შესაბამისად, ბავშვები ამ საკითხებთან დაკავშირებული ცოდნის უქონლობის საფრთხის წინაშე რჩებიან.

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების არარსებობის შედეგები

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სქესის ნიშნით ძალადობის და ინტიმური პარტნიორების მხრიდან ძალადობის, მათ შორის ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემცირებას. სექსუალური განათლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია, რომ „ბავშვებმა უკეთ დაიცვან თავი სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის რისკისაგან“.[1]

***ანა არგანაშვილს** მიღებული აქვს სამართლის ბაკალავრის ხარისხი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. სამართლის მაგისტრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ხოლო 2017-2018 წლებში, ის იყო საქართველოს წარმომადგენელი Hubert Humphrey Fellowship პროგრამის, რომლის ფარგლებშიც მან ვაშინგტონში, ამერიკის უნივერსიტეტში მიიღო განათლება და პროფესიული პრაქტიკა გაიარა ორგანიზაციების, Amnesty international და Disability Rights International ვაშინგტონის ოფისებში.

****ანა აბაშიძე** არის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ PHR დამფუძნებელი და ბავშვთა, ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პრაქტიკოსი ადვოკატი. იგი 2008-2013 წლებში მუშაობდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, ასევე იყო ეროვნული ექსპერტი გენდერული თანასწორობის საკითხებში გაეროს ქალთა ორგანიზაციაში. ის ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის სერტიფიცირებული ტრენერია. მისი ავტორობით გამოცემულია არაერთი პუბლიკაცია, მონიტორინგის ანგარიში და კვლევა შემდეგ თემებზე: მართლმსაჯულების მისაწვდომობა შშმ პირებისთვის; საქართველოს კანონმდებლობის გენდერული ანალიზი; მართლმსჯულება და შშმ პირთა უფლებები; სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები და სხვა.

საქართველოში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების არარსებობის პირობებში ჩვენ ვხედავთ შემაშფოთებელ ტენდენციას – 2015 წლიდან ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების ზრდას.[2]

არასრულწლოვანი გოგონების მიმართ სექსუალური დანაშაულის სტატისტიკა



არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური დანაშაულის სტატისტიკა[3]

	მუხლი 137	მუხლი 138	მუხლი 140	მუხლი 141	სულ
2015 წელი	6	7	83	17	113
2016 წელი	8	6	41	27	82
2017 წელი	8	7	142	20	117
2018 წელი	7	7	90	38	142
2019 წელი	13	8	73	58	152
2020 წელი	13	10	46	59	128
2021 წელი	32	27	68	39	166

ევროპის რეგიონში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებულ კვლევაში[4] აღნიშნულია: „მოზარდებს შორის შობადობის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ბულგარეთი და საქართველო, სადაც არ არსებობს სავალდებულო ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების პროგრამები.“ არასრულწლოვან გოგონებს შორის აბორტებისა და მშობიარობის მაღალი მაჩვენებელი დიდწილად სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობასთან არის დაკავშირებული. 2018-2021 წლებში საქართველოში ბავშვებს შორის 454 აბორტი და 2 564 მშობიარობა დაფიქსირდა.[5] 2018 წლის „დაგეგმილი მშობლობის საერთაშორისო ფედერაციის ევროპული ქსელის “ანგარიშის (სახელწოდებით „სექსუალური განათლება ევროპასა და ცენტრალურ აზიაში“) მიხედვით, „მოზარდებს შორის შობადობა საქართველოში (51.5 მშობიარობა 1000 ქალზე 15-19 წლის ასაკში 2015 წელს) ძალიან მაღალია ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით. ფაქტობრივად, ის ყველაზე მაღალია ყველა შესწავლილ ქვეყანას შორის.“[6]

1 https://rm.coe.int/16800d3832

2 საქართველოს გენერალური პროკურატურა, წერილი №13/54327, 2022 წლის 29 აგვისტო.

3 საქართველოს გენერალური პროკურატურა, წერილი №13/54327, 2022 წლის 29 აგვისტო.

4 https://www.bzga-whocc.de/fileadmin/user_upload/Dokumente/BZgA_IPPFEN_ComprehensiveStudyReport_Online.pdf

5 საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, წერილი MOH 522 00182262, 04 აგვისტო, 2022 წ.

6 https://www.bzga-whocc.de/fileadmin/user_upload/Dokumente/BZgA_IPPFEN_ComprehensiveStudyReport_Online.pdf

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მხრივ ამჟამად არსებული მდგომარეობა

ევროკავშირი-საქართველოს 2021-2028 წლების ასოცირების დღის წესრიგში ევროკავშირმა რეპროდუქციული და სექსუალური ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ყოვლისმომცველი განათლებისა და საინფორმაციო კურსის დანერგვა პრიორიტეტად დაადგინა.[7] შესაბამისად, ევროკავშირმა მოუწოდა საქართველოს მთავრობას: **„გაზარდოს რეპროდუქციულ და სექსუალურ ჯანმრთელობაზე ხელმისაწვდომობა ყველა ასაკის პირისთვის, უზრუნველყოს ინფორმაცია და პრევენცია და გააგრძელოს ბრძოლა ქალებისა და გოგონების მიმართ მავნე პრაქტიკის, მათ შორის სასქესო ორგანოების დასახიჩრების, ბავშვის, ადრეულ ასაკში და იძულებითი ქორწინების და ადამიანის უფლებათა დარღვევისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის სხვა ფორმების წინააღმდეგ, და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სასოფლო დასახლებებს“.**

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ყოვლისმომცველი განათლების არარსებობა საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ასპარეზზე. ამ საკითხთან დაკავშირებით კრიტიკული შეშფოთება გამოთქვა თავის კვლევაში საქართველოს სახალხო დამცველმა: **„ბოლო წლებში ახალგაზრდების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესახებ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ახალგაზრდების ცოდნა და ინფორმირებულობა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე დაბალია.“**[8]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ საქართველოს რამდენიმე რეგიონში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლების კომპონენტის სწავლება ფორმალურ საგანმანათლებლო სივრცეში თითქმის არ ხორციელდება. მოსწავლეები ჩივიან მასწავლებლების არასათანადო დამოკიდებულებისა და ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ელემენტების სასწავლებლად ცოდნისა და მზაობის ნაკლებობის შესახებ. მასწავლებლები ცდილობენ, თავი აარიდონ მოსწავლეთა კითხვებს ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა კლასში არ შეიქმნას სირცხვილისა და უხერხულობის ატმოსფერო. მასწავლებლები, თავის მხრივ, იმის მიზეზად, რომ არ შეუძლიათ ამ თემაზე სიღრმისეული დისკუსიის ჩატარება, ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების შეზღუდულ სასწავლო მასალებს ასახელებენ.

ეს საკითხი კარგად არის ცნობილი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მუდმივად მოუწოდებენ საქართველოს მთავრობას, დანერგოს ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება. 2014 წლის 24 ივლისს გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა გამოაქვეყნა დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს გაერთიანებულ მეოთხე და მეხუთე პერიოდულ ანგარიშებთან დაკავშირებით.[9] ანგარიშში კომიტეტი გამოხატავს შეშფოთებას სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაფერისი განათლების არარსებობის გამო (პუნქტი 26). შესაბამისად, კომიტეტმა წარუდგინა რეკომენდაცია საქართველოს მთავრობას **„[ი] დანერგოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ასაკის შესაფერისი განათლება, მათ შორის პასუხისმგებელი სექსუალური ქცევის შესახებ, ყველა დონეზე.“**

2017 წელს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოსცა დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს მეოთხე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით.[10] კომიტეტი ყურადღებას ამახვილებს ადრეულ ასაკში ორსუ-

[7] https://mfa.gov.ge/getattachment/News/saqartvelosa-da-evrokavshirs-shoris-2021-%E2%80%93-2027-cl/2021-2027-EU-Georgia-Association-Agenda-EN.pdf.aspx

[8] https://ombudsman.ge/res/docs/2019072913513745197.pdf

[9] https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en

[10] https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CRC%2fC%2fGEO%2fCO%2f4&Lang=en

ლობის მაღალ მაჩვენებელზე, ასევე სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის განათლების არარსებობაზე სასკოლო სასწავლო გეგმებში და, საკუთარი №4 ზოგადი კომენტარის (2003) გათვალისწინებით, რეკომენდაციას აძლევს საქართველოს, **„დანერგოს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლება მოზარდი გოგონებისა და ბიჭების სავალდებულო სასკოლო პროგრამაში და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადრეულ ასაკში ორსულობისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციას (პუნქტი 33).“**

2021 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს ორმოცდამეშვიდე სესიაზე, საქართველომ გაიარა უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის პროცესის მესამე რაუნდი. ინტერაქტიული დიალოგის დროს საქართველომ მიიღო[11] შემდეგი რეკომენდაცია ურუგვაისგან (148.175), საფრანგეთისგან (148.177), ისლანდიისგან (148.178) და მექსიკისგან (148.179): **„შეიმუშავეთ და დანერგეთ ყოვლისმომცველი განათლების სასწავლო პროგრამები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკო) სახელმძღვანელოსა და სტანდარტების შესაბამისად.“** საქართველოს დელეგაციამ მიიღო ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვასთან დაკავშირებული ყველა რეკომენდაცია.[12]

2022 წლის 27 ივლისს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა გამოაქვეყნა დასკვნითი მოსაზრება გაეროს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის შესახებ საქართველოს მეხუთე პერიოდულ ანგარიშთან დაკავშირებით.[13] კომიტეტი თქმით: **„მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნავს მონაწილე სახელმწიფოს მიერ გაწეულ ძალისხმევას, როგორიცაა სექსუალური განათლებისა და სექსუალური დანაშაულების შესახებ სასწავლო კურსების შემუშავება „ექიმის საათის“ ფარგლებში, კომიტეტი შეშფოთებულია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე არასაკმარისი წვდომის და მათ შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონის შესახებ შეტყობინებებით, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების ქალებისათვის. კომიტეტი ასევე შეშფოთებით აღნიშნავს სქესის მიხედვით შერჩევითი აბორტის პრაქტიკის არსებობას, განსაკუთრებით უმცირესობებს შორის“ (პუნქტი 25).** შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მთავრობას: **„შეიმუშაოს და განახორციელოს ყოვლისმომცველი პროგრამები სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლებისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენციის შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით“** (პუნქტი 26).

2022 წლის აგვისტოს მდგომარეობით ყველა ეს რეკომენდაცია განუხორციელებელია.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება

მაღალი ხარისხის სექსუალური განათლების ხელმისაწვდომობა გამომდინარეობს და დაკავშირებულია ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებთან. სექსუალურ უფლებებთან დაკავშირებული განათლების უფლების გარდა, ის ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების ფართო სპექტრის რეალიზებას. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ჩარჩოს გამოყენებისას სექსუალურმა განათლებამ შეიძლება ხელი შეუწყოს, აგრეთვე, ბავშვებისა და მოზარდების ურთიერთგადამკვეთი უფლებების ხორცშესხმას, როგორიც არის განათლების უფლება (მუხლები 28 და 29),

[11] https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G21/079/32/PDF/G2107932.pdf?OpenElement

[12] https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G21/143/42/PDF/G2114342.pdf?OpenElement

[13] https://tbinternet.ohchr.org/_layouts/15/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CCPR%2fC%2fGEO%2fCO%2f5&Lang=en

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უფლება (მუხლი 24), ძალადობისა და ექსპლუატაციისგან დაცვის უფლება (მუხლი 3), თვითგამორკვევის უფლება (მუხლი 2), იდენტობის უფლება (მუხლი 8), დისკრიმინაციის არარსებობისა და თანასწორობის უფლება (მუხლი 12) და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მუხლი 14).[14] ბურკი და სხვები[15] ამტკიცებენ, რომ სექსუალური უფლებების რეალიზება სამი მნიშვნელოვანი გზით უნდა მოხდეს. ეს არის სექსუალური განათლების მიღების უფლება, უფლებები სექსუალურ განათლებაში და უფლებები სექსუალური განათლების მეშვეობით.

უფლებები სექსუალური განათლების მეშვეობით პირველ რიგში გულისხმობს დაცვას ძალადობისა და ექსპლუატაციისგან. 2018 წელს, საქმეში "AR & LR შვეიცარიის წინააღმდეგ" (22338/15), ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღიარა, რომ **„სექსუალური განათლების ერთ-ერთი მიზანია სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის პრევენცია, რაც რეალურ საფრთხეს წარმოადგენს ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის და რომლისგანაც ისინი ყველა ასაკში უნდა იყვნენ დაცულები".**[16]

ძალადობისგან დაცვის პროგრამების ეფექტიანობის შესახებ კვლევაში[17] გამოთქმულია ვარაუდი, რომ წარმატებული განათლება პრევენციის სფეროში მოიცავს ბავშვებისთვის იმის სწავლებას, თუ როგორ ამოიცნონ და წინააღმდეგობა გაუწიონ არასათანადო შეხებას.

იურიდიული წყაროები ცალსახად მხარს უჭერენ ადამიანის უფლებათა სფეროში არსებულ ვალდებულებას – უზრუნველყოფილი იქნეს ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება ყველა ბავშვისთვის, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე.

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების საყოველთაოდ აღიარებული და რეკომენდებული შინაარსი

2009 წელს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობით, იუნესკომ გამოსცა სექსუალური განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელოს პირველი ვერსია. მას შემდეგ, რაც ბევრმა ქვეყანამ ჩართო ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება თავის სასწავლო პროგრამებში და დააგროვა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, ასევე პროფესიონალებისა და ახალგაზრდების გამოხმაურებაზე დაყრდნობით, 2018 წელს იუნესკომ, გაეროს აივ/შიდს-ის პროგრამასთან (UNAIDS), გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA), გაეროს ბავშვთა ფონდთან (იუნისეფი), გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან პარტნიორობით გამოაქვეყნა გაიდლაინების შესწორებული ვერსია სახელწოდებით „ტექნიკური სახელმძღვანელო სექსუალური განათლების შესახებ, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა".[18]

იუნესკოს მოდელის მიხედვით, ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება უნდა შეიცავდეს რვა თანაბრად მნიშვნელოვან ძირითად კონცეფციას, რომელთა სწავლება ერთიანობაში უნდა მოხდეს. ეს არის ურთიერთობები, ღირებულებები, გენდერის გაგება, ძალადობა და უსაფრთხოდ ყოფნა, უნარები, რომლებიც ხელს უწყობს ჯანმრთელობას და კეთილდღეობას, ადამიანის სხეული და განვითარება, სექსუალობა და სექსუალური ქცევა და სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა.

[14] Bourke, A., Mallon, B., & Maunsell, C. (2022). „გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი ბავშვის უფლებების – სექსუალური განათლების მიღების უფლების, სექსუალურ განათლებაში უფლებებისა და სექსუალური განათლების მეშვეობით უფლებების – რეალიზაცია", The International Journal of Children's Rights, 30(2), 271-296. DOI: https://doi.org/10.1163/15718182-30020001

[15] იქვე.

[16] სასამართლოს რეგისტრატორის მიერ გამოშვებული პრეს-რელიზი, „დაწყებითი სკოლის მოსწავლის სექსუალური განათლებისგან გათავისუფლებაზე უარს არ დაურღვევია კონვენცია", ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: https://hudoc.echr.coe.int/fre#{%22itemid%22:[%22003-5977739-7646199%22]}.

[17] Kenny, M. C., Capri, V., R. R., Thakkar-Kolar, Ryan, E. E. and Runyon, M. K., „ბავშვებზე სექსუალური ძალადობა: პრევენციიდან საკუთარი თავის დაცვამდე", Child Abuse Review 2008 (17), 36–54. DOI: 10.1002 car.1012.

[18] file:///C:/Users/Nikoloz%20Inasaridze/Downloads/260770eng.pdf

ყოვლისმომცველ სექსუალურ განათლებასთან დაკავშირებულმა მტკიცებულებებმა აჩვენა, რომ:[19]

- სექსუალური განათლება – სკოლაში თუ მის გარეთ – არ ზრდის სექსუალურ აქტივობას, სექსუალური რისკის შემცველ ქცევებს ან სგგი/აივ ინფექციის მაჩვენებლებს;
- სექსუალურ განათლებას აქვს დადებითი შედეგები, მათ შორის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, ასევე სარისკო ქცევების შესახებ ახალგაზრდების ცოდნის გაზრდა;
- პროგრამები, რომლებიც ეხება როგორც ორსულობის, ასევე სგგი/აივ პრევენციას, უფრო ეფექტიანია, ვიდრე მხოლოდ ერთ სფეროზე ფოკუსირებული პროგრამები;
- ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების პროგრამებში ცალსახად უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება განაპირობებს პოზიტიურ შედეგს მოკლე ვადაში ცოდნისა და დამოკიდებულებების თვალსაზრისით, მათ შორის სექსუალური ურთიერთობისას პარტნიორის უფლებების შესახებ ცოდნის გაზრდას; მშობლებთან სექსისა და ურთიერთობების შესახებ კომუნიკაციის გაზრდას; და მეტ თავდაჯერებულობას სარისკო სიტუაციების სამარავად;
- გენდერზე ორიენტირებული პროგრამები უფრო ეფექტიანია, ვიდრე პროგრამები, რომლებიც არ ითვალისწინებს გენდერულ საკითხებს, ჯანმრთელობის პოზიტიური შედეგების მისაღწევად, როგორიცაა არასასურველი ორსულობის ან სგგი-ების მაჩვენებლების შემცირება და ა.შ.

ამრიგად, სრულფასოვანი სექსუალური განათლების (ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ფორმით) ღირებულება და სარგებელი კარგად არის დადასტურებული კვლევებით და სამეცნიერო მონაცემებით.

ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების შინაარსი საქართველოში

ამჟამად საქართველოს მთავრობა არ აღიარებს არც ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების რეალურად არარსებობას საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში და არც ხარვეზებს სექსუალური განათლების არსებულ მოდელში. კერძოდ, მთავრობა აცხადებს, რომ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ საგანმანათლებლო მასალა გათვალისწინებულია ზოგადი განათლების სასწავლო პროგრამის სხვადასხვა საგანში.[20]

მითითებული მასალა მოიცავს:

(1) ქალისა და მამაკაცის სასქესო ორგანოების ანატომიას, სქესობრივ მომწიფებას და სხვა ბიოლოგიურად განსაზღვრულ ცნებებს, რომლებიც შედის ბიოლოგიის საგანმანათლებლო სტანდარტში.

(2) ადამიანის უფლებების, თანასწორობის (გენდერული თანასწორობის ჩათვლით), ემპათიის, ტოლერანტობისა და გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის სხვადასხვა მუხლის ცენტრალურ ცნებებს, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო განათლების სასწავლო პროგრამაში.

[19] იქვე.

[20] 2021 წლის 26 ივლისის წერილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

ბავშვების თქმით, მასწავლებლები უკიდურეს დისკომფორტს განიცდიან რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ამჟამად ხელმისაწვდომი მინიმალური რაოდენობის ინფორმაციის განხილვისას. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში, ისინი აიძულებენ ბავშვებს, გამოტოვონ ბიოლოგიის წიგნის ის თავი, რომელიც დაკავშირებულია სასქესო ორგანოების ანატომიასთან. როგორც 15 წლის ნინო ამბობს, **„ეს თავი მხოლოდ სახლში წასაკითხად მოგვცეს. კლასში ის არ განგვიხილავს. ჩვენი ბიოლოგიის მასწავლებელი ფიქრობდა, რომ ამაზე საუბარი უხერხული იქნებოდა.“**[21]

აშკარაა, რომ არც მასალა და არც მოსწავლეებისთვის მისი მიწოდების პროცესი არ შეესაბამება ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების სასწავლო პროგრამას.

ეს მონაცემები, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და სამეცნიერო მტკიცებულებები ერთობლივად მიუთითებს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვის უკიდურეს აუცილებლობაზე. რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლების შესახებ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და მექანიზმებიდან გამომდინარე რეკომენდაციებისა და ვალდებულებების განსახორციელებლად აუცილებელია:

- ვალდებულების აღება და მკაფიო პოლიტიკური ნების გამოხატვა ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების დანერგვისთვის, განსახორციელებელი ქმედებებისთვის შესაბამისი ვადების დაწესებით;
- ყველა ასაკის ადამიანებისა და ყველა ჯგუფისთვის ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების სასწავლო პროგრამის დროული შემუშავების უზრუნველყოფა, ძირითადი აქცენტით მოწყვლად ჯგუფებზე, და მისი ჩართვა ოფიციალურ საგანმანათლებლო ჩარჩოში ეროვნული საგანმანათლებლო გეგმის მეშვეობით;
- ტრენინგების ჩატარება მასწავლებლებისა და სხვა პროფესიონალების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მასალის ადეკვატურად მიწოდების მიზნით ოფიციალური განათლების ფარგლებში;
- შესაბამისი სახელმძღვანელოებისა და საგანმანათლებლო მასალების შემუშავების უზრუნველყოფა, რათა მასწავლებლებმა შეძლონ მაღალი ხარისხის და ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მიწოდება;
- სათანადო საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და ჩატარება ფართო საზოგადოებასა და განათლების პროფესიონალებს შორის ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების მხარდაჭერისა და მისი საჭიროების გათვითცნობიერების გასაუმჯობესებლად.

[21] https://jam-news.net/sexual-education-in-georgia-who-is-against-having-it-included-in-the-school-curricula/